

Belehrung nach § 54 Abs. 2 Nr. 8 i.V.m. § 53 AufenthG

Ein Ausländer kann ausgewiesen werden, wenn er falsche oder unvollständige Angaben zur Erlangung eines deutschen Aufenthaltstitels oder eines Schengen-Visums macht.

Der Antragsteller ist verpflichtet, alle Angaben nach bestem Wissen und Gewissen zu machen. Sofern er Angaben verweigert oder bewusst falsch oder unvollständig macht, kann dies zur Folge haben, dass der Visumantrag abgelehnt bzw. der Antragsteller aus Deutschland ausgewiesen wird, sofern ein Visum bereits erteilt wurde. Durch die Unterschrift bestätigt der Antragsteller, dass er vor der Antragstellung über die Rechtsfolgen verweigerter, falscher oder unvollständiger Angaben im Visumverfahren belehrt worden ist.

Ort, Datum

Unterschrift

ინფორმაცია უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე

უცხოელი მოქალაქე შეიძლება გააძევონ გერმანიის ტერიტორიიდან იმ შემთხვევაში, თუ მან გერმანიის ეროვნული ვიზის ან შენგენის სივრცის ვიზის მიღების პროცედურისას ცრუ ან არასრული მონაცემები მიუთითა.

განმცხადებელი ვალდებულია, კეთილსინდისიერად მიუთითოს ყველა მონაცემი. მონაცემების მითითებაზე უარის თქმას ან ცრუ ან არასრული მონაცემების განზრახ მითითებას შეიძლება მოყვეს უარი ვიზის გაცემაზე ან გაძევება გერმანიის ტერიტორიიდან იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე აქვს მიღებული ვიზა. განმცხადებელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ განაცხადის გაკეთებამდე მან მიიღო ახსნა-განმარტება იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოყვეს ვიზის მიღების პროცედურისას მის მიერ მონაცემების მითითებაზე უარის თქმას ან ცრუ ან არასრული მონაცემების მითითებას.

ადგილი, თარიღი

ხელმოწერა

ევროკავშირის №2016/679 დადგენილების (მონაცემთა დაცვის ძირითადი დადგენილება) მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად შედგენილი ინფორმაციის: მიღების დასტური

Receipt regarding the **Information according to Articles 13 and 14 of the General Data Protection Regulation (GDPR) (EU) 2016/679**

Quittung über den Erhalt der **Information gemäß Art. 13 und 14 Verordnung (EU) 2016/679 (Datenschutz-Grundverordnung)**

ვადასტურებ, რომ მე,
Hereby, I,
Hiermit bestätige ich,

გვარი/Name	
სახელი/Given Names/Vorname(n)	
დაბ. თარიღი (რიცხვი.თვე.წელი) Date of Birth (DD.MM.YYYY) Geburtsdatum (TT.MM.JJJJ)	
მოქალაქეობა/Citizenship/ Staatsangehörigkeit	
საბუთის/პასპორტის ნომერი Passport/ID number Nummer des Ausweisdokuments	

მივიღე ევროკავშირის №2016/679 დადგენილების (მონაცემთა დაცვის ძირითადი დადგენილება) მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად შედგენილი ინფორმაცია (აღნიშნეთ შესაბამისი ენა) /// confirm having received the **Information according to Articles 13 and 14 of the General Data Protection Regulation (GDPR) (EU) 2016/679** in (please mark the applicable language with an X) /// den Erhalt der **Information gemäß Art. 13 und 14 Verordnung (EU) 2016/679 (Datenschutz-Grundverordnung)** in (zutreffendes bitte ankreuzen)

<input type="checkbox"/>	ქართულ/Georgian/georgischer
<input type="checkbox"/>	ინგლისურ/English/englischer
<input type="checkbox"/>	გერმანულ/German/deutscher

ენაზე/language/Sprache

_____ წლის _____ (რიცხვი.თვე.წელი)/(DD.MM.YYYY)/(TT.MM.JJJJ)

ხელმოწერა/Signature/Unterschrift

Belehrung nach § 18 Abs. 2 Nr. 4a AufenthG – Vorliegen eines konkreten Arbeitsplatzangebots

Ein Ausländer und sein Arbeitgeber versichern, dass die Beschäftigung, die dem Visumsantrag zugrunde liegen soll, tatsächlich ausgeübt werden soll, d. h. tatsächlich ein auf Durchführung ausgerichteter „konkretes Arbeitsplatzangebot“ nach § 18 Absatz 2 Nummer 1 AufenthG vorliegt und kein reines Scheinarbeitsverhältnis zur Erlangung eines Aufenthaltstitels nach Abschnitt 4 des Aufenthaltsgesetzes im Raum steht.

Eine reine Gehaltszahlung ohne Durchführungsabsicht genügt nicht.

Falscherklärungen sind „unrichtige Angaben“ und nach § 95 Absatz 2 Nummer 2 AufenthG strafbar. Erfolgt die Handlung gegen einen Vermögensvorteil, wäre eine Strafbarkeit nach § 96 Absatz 1 Nummer 2 AufenthG gegeben. Die entsprechenden Qualifikationstatbestände gelten ebenfalls.

Visastellen und Ausländerbehörden haben bei konkreten Anhaltspunkten der Vorspiegelung eines echten Arbeitsverhältnisses, hinter dem sich ein nur zum Schein eingegangenes und daher nach § 117 BGB nichtiges Arbeitsverhältnis verbirgt, die Möglichkeit, die Strafverfolgungsbehörden einzuschalten.

Durch meine Unterschrift bestätige ich, dass ich die vorstehenden Hinweise zur Kenntnis genommen habe und erkläre gemäß § 18 Abs. 2 Nr. 4a AufenthG, dass ein konkretes Arbeitsplatzangebot im Sinne von § 18 Abs. 2 Nummer 1 AufenthG vorliegt und ich beabsichtige, eine entsprechende Beschäftigung aufzunehmen.

Ort, Datum

Unterschrift

ინფორმაცია უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის 4a ქვეპუნქტთან დაკავშირებით: კონკრეტული სამუშაო ადგილის შეთავაზების არსებობა

უცხოელი და მისი დამსაქმებელი ადასტურებენ, რომ დასაქმება, რომელზედაც დაფუძნებულია სავიზო განაცხადი, რეალურად განხორციელდება, ე.ი. რეალურად არსებობს განხორციელებაზე მიმართული „კონკრეტული სამუშაო ადგილის შეთავაზება“ უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად და არ არსებობს წმინდა ფიქტიური შრომითი ურთიერთობა ზემოაღნიშნული კანონის მე-4 ნაწილში გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის მისაღებად.

მხოლოდ ხელფასის გადახდა სამუშაოს განხორციელების განზრახვის გარეშე საკმარისი არ არის.

ყალბი მონაცემების მითითება ითვლება „არასწორ ინფორმაციად“ და ისჯება ზემოაღნიშნული კანონის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად. თუ ეს ქმედება განხორციელდება ფინანსური მოგების მიღების მიზნით, ქმედება დასჯადი იქნება ზემოაღნიშნული კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად. იგივე ეხება ასევე კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ფაქტებს.

სავიზო განყოფილებებსა და საიმიგრაციო უწყებებს (Ausländerbehörde) შეუძლიათ ჩართონ სამართალდამცავი ორგანოები, თუ არსებობს კონკრეტული ეჭვები, რომ სახეზეა ფიქტიურად გაფორმებული შრომითი ურთიერთობა, რაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლით ბათილად იქნება ცნობილი.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავცანი ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის 4a ქვეპუნქტის შესაბამისად ვაცხადებ, რომ არსებობს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისი კონკრეტული სამუშაო ადგილის შეთავაზება და ვაპირებ, შევუდგე ამ საქმიანობას.

ადგილი, თარიღი

ხელმოწერა

Belehrung nach § 82 Abs. 1 Satz 6 AufenthG – Pflicht zur Mitteilung eines Arbeitgeberwechsels und Änderungen des Arbeitsverhältnisses

Inhaber einer Blauen Karte EU sind innerhalb der ersten zwölf Monate seit der Aufnahme der Beschäftigung mit der Blauen Karte EU verpflichtet, der zuständigen Ausländerbehörde jeden Arbeitgeberwechsel und jede Änderung mitzuteilen, die Auswirkungen auf die Erfüllung der Erteilungsvoraussetzungen hat (z.B. gehaltsschwellenrelevante Veränderung des Gehalts, Änderung der Beschäftigung mit Auswirkung auf die Angemessenheit in Bezug auf die Qualifikation, Arbeitsplatzwechsel).

Macht der Inhaber diese Mitteilung nicht oder nicht rechtzeitig, kann dies den Widerruf der Blauen Karte EU zur Folge haben (vgl. § 52 Absatz 2b AufenthG). Die Mitteilung erfolgt rechtzeitig, wenn sie ohne schuldhaftes Zögern nach Eintritt der jeweiligen Änderungen erfolgt.

Durch meine Unterschrift bestätige ich, dass ich die vorstehenden Hinweise zur Kenntnis genommen habe.

Ort, Datum

Unterschrift Antragsteller/in

ინფორმაცია უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-6 წინადადებასთან დაკავშირებით: დამსაქმებლის ცვლილებისა და შრომითი ურთიერთობის ცვლილების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

ევროკავშირის ლურჯი ბარათით დასაქმების დაწყებიდან პირველი თორმეტი თვის განმავლობაში ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელები ვალდებული არიან, აცნობონ პასუხისმგებელ საიმიგრაციო უწყებას (Ausländerbehörde) დამსაქმებლის ნებისმიერი ცვლილებისა და ყველა ისეთი ცვლილების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ლურჯი ბარათის გაცემის წინაპირობების შესრულებაზე (მაგ. ხელფასის ცვლილება, რომელიც ხელფასის ზღვარზე ახდენს გავლენას; დასაქმების სფეროს ცვლილება, რომელსაც გავლენა აქვს კვალიფიკაციის შესაბამისობაზე; სამუშაო ადგილის ცვლილება).

თუ მფლობელი საიმიგრაციო უწყებას საერთოდ არ მიაწოდებს ან დროულად არ მიაწოდებს ამ შეტყობინებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის ლურჯი ბარათის გაუქმება (იხ. ზემოაღნიშნული კანონის 52-ე მუხლის 2b პუნქტი). შეტყობინების მიწოდება ჩაითვლება დროულად, თუ ეს მოხდება არასაპატიო დაყოვნების გარეშე შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი ზემოაღნიშნულ ინფორმაციას.

ადგილი, თარიღი

განმცხადებლის ხელმოწერა

**Belehrung zur Mindestgehaltsschwelle ab Vollendung des 45. Lebensjahres bei
Anschlussaufenthalten als Fachkraft**

Gem. § 18 Abs. 2 Nr. 5 AufenthG muss für die erstmalige Erteilung eines Aufenthaltstitels gem. § 18a oder § 18b AufenthG als Fachkraft die Höhe des Gehalts grundsätzlich mindestens 55 Prozent der jährlichen Beitragsbemessungsgrenze in der allgemeinen Rentenversicherung entsprechen, wenn der/die Antragstellende bei Erteilung das 45. Lebensjahr vollendet hat.

Dies gilt auch dann, wenn sich bei fortbestehendem Aufenthalt in Deutschland der Aufenthalt als Fachkraft an eine Qualifizierungsmaßnahme gem. § 16d AufenthG oder eine Chancenkarte gem. § 20a AufenthG anschließt.

Durch meine Unterschrift bestätige ich, dass ich die vorstehenden Hinweise zur Kenntnis genommen habe.

Ort, Datum

Unterschrift Antragsteller/in

გერმანიის საელჩო თბილისში

**ინფორმირება ხელფასის მინიმალური ზღვრული ოდენობის შესახებ 45 წლის მიღწევის
შემდეგ სპეციალისტის სტატუსით გერმანიაში ყოფნის შემთხვევაში**

გერმანიაში ყოფნის შესახებ გერმანიის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის თანახმად სპეციალისტის სტატუსით გერმანიის ბინადრობის მოწმობის (ამავე კანონის მე-18ა ან მე-18ბ მუხლის შესაბამისად) პირველადი გაცემის დროს ხელფასის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს გერმანიის საყოველთაო საპენსიო დაზღვევაში წლიური შენატანის ზედა ზღვარის მინიმუმ 55 პროცენტს, თუ ბინადრობის მოწმობის გაცემის დროს განმცხადებელი უკვე არის 45 წლის.

აღნიშნული ვრცელდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი იმყოფება უკვე გერმანიაში საკვალიფიკაციო ღონისძიების მიზნით (ზემოხსენებული კანონის მე-16დ მუხლის შესაბამისად) ან შანსების ბარათის ვიზით (ზემოხსენებული კანონის მე-20ა მუხლის შესაბამისად) და გერმანიაში ყოფნას აგრძელებს უკვე სპეციალისტის სტატუსით.

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავცანი ზემოთ აღნიშნულ მითითებებს.

ადგილი, თარიღი

ხელმოწერა